რამდენიმე უცნობი წყარო იბერიის (ქართლის) ეკლესიის შესახებ

ბექა ჭიჭინაძე*

საქართველოს ეკლესიის ისტორიის ჩვენს ხელთ არსებული დასავლური წყაროების დიდი ნაწილი, მწირი და არცთუ მაღალი შემეცნებითი ღირებულებისაა, რაც, ქვემოთ წარმოდგენილ უცნობ წყაროებს საკვლევი პრობლემის გარშემო, განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს.

„582, ბერძენი ანონიმი“

„სომეხთა ტომი და მამაცი იბერიელი ხალხი, აღსავსე ქრისტეს შთაგონებით, ნებაყოფლობით შემოვიდნენ მორჩილებაში, მიანდეს რა საკუთარი თავი ჩვენს უძლეველ იმპერატორთა სჯულს“ (შდრ. ჰერმიას სოძომენოსის (მე-5 ს.) ცნობას: „იბერთა ტომი, ღირსეული და ფრიად მებრძოლი“). მოცემულ წყაროში ქართველთა მაღალი შეფასებაა მოცემული, საგულისხმოა, რომ ავტორის თანახმად, ქართველები პროდასავლურ სარწმუნოებრივ არჩევანს აკეთებენ ნებაყოფლობით.

იოჰანეს ბიკლარენსიზი

„ბიკლაროს ბენედიქტელთა მონასტრის აბატი იოჰანეს ბიკლარენსიზი“ (დაახ. 540-621), „ქრონიკა“:

„სომეხ და ქართველ ხალხს, რომელთაც რწმენა მიიღეს ქრისტეს მოციქულთა ქადაგებით, სპარსთა იმპერატორი, ხოსრო, აიძულებდა მიეღოთ კერპთა რწმენა, მათ უარყვეს ეს უღმრთო ბრძანება და გადასცეს მათი მიწები რომაელებს, აი ამან დაარღვია შეთანხმების

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის თეოლოგიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის მკვლევარი. b.chichinadze@sabauni.edu.ge

ხელშეკრულება რომაელებსა და სპარსელებს შორის...“[1] (შდრ. პროკოპი კესარიელის კარგად ცნობილი ცნობა იბერიელ ქრისტიანებზე, რომელიც, აგრეთვე უდიდესი სიმპატიითაა გამსჭვალული იბერიის ეკლესიის მიმართ: „იბერები ქრისტიანები არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ“[2]).

ბიკლარენსიზის მიხედვით, ქართველებს ჭეშმარიტი სარწმუნოება თავად ქრისტეს მოციქულებისაგან გადაეცათ. ყურადსაღებია, რომ ეს ავტორი არსებულთაგან ყველაზე ძველ წყაროდ უნდა ჩაითვალოს, რომელიც იბერიის ეკლესიას სამოციქულოდ მიიჩნევს.

ექვთიმე პერიბლეპტონელი

მე-11 საუკუნეში მოღვაწე ცნობილი ბიზანტიელი თეოლოგი, ექვთიმე პერიბლეპტონელი, რომელიც ცნობილია ერესების განმაქიქებელი შრომებითაც, აფორესაიდის მონასტერში დაწერილ თავის ერთ-ერთ ანტიერეტიკულ ეპისტოლეში ვრცლად ეხება სომხეთისა და საქართველოს მიმართებას ერეტიკულ მოძრაობებთან, სანამ მის ცნობებს მოვიხმობთ, უნდა აღინიშნოს, რომ წყაროთმცოდნეობისათვის, რიგ შემთხვევებში, ლეგენდა ისეთივე ინფორმატიულია, როგორც ავთენტური წყარო, რამდენადაც ლეგენდები ზოგჯერ საუკეთესოდ ასახავენ იმ წარმოდგენებს, რაც ამა თუ იმ საგანსა და მოვლენაზე არსებობდა განსახილველ ხანაში. ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, რომ ლეგენდა შეიძლება ნარატიული წყაროს ადგილას იქნას გამოყენებული, მაგრამ ისტორიული სინამდვილის რეკონსტრუირებაში მასაც აქვს გარკვეული ადგილი, რადგან ძალიან ხშირად, ისტორიული მოვლენების შესახებ თანამედროვეთა შეფასებები და წარმოდგენები სწორედ ლეგენდებში ჯამდება. ლეგენდათა ამგვარ ჯგუფს უნდა განვაკუთვნოთ პერიბლეპტონელთან დაცული ეს ძველი ბიზანტიური საეკლესიო გადმოცემა

---

[1] Ioannes abbas Biclarensis, Chronicon, in: Corpus Christianorum, Edited by C.C. de Hartmann, Brepols, 2002.

[2] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 2, ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 1934, 22.

ლიკოპეტრუსის შესახებ, სადაც რელიეფურადაა ასახული ბიზანტიელთა მაღალი წარმოდგენები ქართველთა სარწმუნოებრივი უმწიკვლოებისა და კეთილმსახურების შესახებ.

ექვთიმე პერიბლეპტონელი გადმოგვცემს, რომ სომხეთში შეიწყნარეს მწვალებელ პეტრეს, ლიკოპეტრუსის (მგელ პეტრე) ქადაგება... (მე-5 ს.), რის შემდეგაც, სომხეთის მეფემ გადაწყვიტა, რომ ლიკოპეტრუსს დახმარებოდა, რათა მას ერესი იბერიაშიც გაევრცელებინა, ამიტომაც მან იბერთა მეფეს მსგავსი შინაარსის წერილი მისწერა:

წყარო: ექვთიმე პერიბლეპტონელის ეპისტოლე მწვალებელ ბოგომილთა შესახებ, სომეხთა მეფის წერილი იბერთა მეფეს:

„მნებავს, რათა უწყოდე, ჩემო უფალო და ძვირფასო ძმაო, რომ დიდი წინამძღოლი და მოციქულია ჩემს მიწაზე საცხოვრებლად მოსული ამ დღეებში. მისმა მოსვლამ დიდად განმანათლა და მანუგეშა, თუკი თქვენი უდიდებულესობა მიბრძანებს, გამოგიგზავნით ამ კაცს, რომლითაც დიდ სარგებელს ნახავთ“, იბერთა მეფემ მიიღო იგი და მოუხმო თავის ყველაზე განსწავლულ ეპისკოპოსებს, რომელთაც გამოსცადეს ის ყველაფერში დაკვირვებულად და ფრთხილად. მათ მასში ნათელი და წმინდა კაცი კი არ ჰპოვეს, როგორც სომეხთა მეფე აცხადებდა, არამედ სატანა, მაცდური მწვალებელი და ცრუ...“ [3]

ამ წყაროში ასახული ტრადიცია პეტრესთან დაკავშირებით, გარკვეული ფორმით, დაცულია ქართულ წყაროებშიც (მწვალებელი მქადაგებლის, პეტროს მკაწვრალის სომხეთიდან ქართლში შემოსვლა), მაგრამ პერიბლეპტონელის თხრობა, რომელიც უფრო ვრცელი და საინტერესოა, ქართულ ისტორიოგრაფიაში უცნობია.

თუკი, ადრე, ბიზანტიური წყაროები ერთნაირად აქებენ ქართ-ველთა და სომეხთა სარწმუნოებრივ მხურვალებასა და უმწიკვ-ლოებას, სომხეთში ბიზანტიური მართლმადიდებლობის დაცემის შემდეგ, ბერძნული წყაროები ხაზგასმით აღნიშნავენ,

[3] Hamilton J., Christian Dualist Heresies in the Byzantine World, C. 650-c. 1450, Manchester University Press, 1998, 156.

რომ სომხე-თისგან განსხვავებით, იბერიამ ბოლომდე შეინარჩუნა მართლმა-დიდებლური რწმენა. ექვთიმე პერიბლეტონელის თანახმად, იბერ-თა უმწიკვლო რწმენის სადარაჯოზე მათი გასწავლული მღვდელ-მთავრები დგანან, რომელთა ცდუნებაც ცბიერ ერეტიკოსებს არ შეუძლიათ.

„სიბილა და ასი მზის ხილვა“

აღნიშნული ბულგარულენოვანი აპოკრიფი, რომელიც სხვადასხვა ხალხთა შესახებ ხილვებს შეიცავს, ბერძნული პირველწყაროდან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ განსახილველ ბულგარულ ვერსიაში ასახულია მე-13-მე-14 საუკუნის ანტიბიზანტიური განწყობები. ბერძენთა მიმართ ქსენოფობიურად განწყობილი ბულგარელი რედაქტორების მიხედვით, ბერძნები მრავალგზის წვალებისკენ მიდრეკილი, ვერაგი, მტაცებელი და შეცდომილი ერია, ამის საპირისპიროდ კი, ქართველები ღვთისმოსავი, უმწიკვლო რწმენის შემნახველი, სტუმართმოყვარე და უცხოთშემწყნარებელი, ასევე წრფელი, უზაკველი ხალხია, საინტერესოა, რომ ეს მოსაზრება დიდ გრიგოლ ბაკურიანისძესთანაც გვხვდება.

„მერვე მზე აღნიშნავს იბერებს, მართალ და სტუმართმოყვარე ხალხს (უცხოთ მოყვარულთ); ისინი იცავენ ეკლესიას, აქვთ მოშიშება ღმერთისა და იმარხვენ მის წმიდა სიტყვას, მათ შორის არ არის მზაკვრება და სწორედ მათზეა ნათქვამი: „ნეტარ არიან თვინიერნი, (რამეთუ ისინი ჰპოვებენ ხსნას). ...მეცხრე მზე აღნიშნავს თათრებს, რომლებმაც სისხლი დაღვარეს დედამიწაზე და არავის შეუძლია წინ აღუდგეს მათ.“[4]

წარმოდგენილი დასავლელი ავტორებისთვის, იბერები არიან „მამაცი ხალხი“, რომელთაც „ქრისტეს მოძღვრება თავად მოციქულებისაგან მიიღეს“, „აღსავსენი არიან ქრისტეს რწმენით“, რომელიც არასოდეს შეუბღალავთ, მეტიც, ისინი „ყველაზე უკეთ აღასრულებენ ქრისტიანულ წესებს“. აქვთ სახარებისეული თვინი-

[4] Gaster M., The Sibyl and the Dream of One Hundred Suns, Journal of the Royal Asiatic Society, Vol.42, No.3, 1910, 609.

ერება, როგორც წინდი ცხონებისა. „ცბიერ ერეტიკოსებს“ მათი ცდუნება არ შეუძლიათ, რადგანაც იბერთა უმწიკვლო რწმენის სადარაჯოზე მათი „განსწავლული მღვდელმთავრები“ დგანან. იბერები „ნებაყოფლობით ემორჩილებიან იმპერატორის სჯულს“, რაც გამოიხატა როგორც ქრისტიანობის მიღებაში, ისე ქრისტიანობის იმ მიმდინარეობის მხარდაჭერაშიც, რომელიც დასავლურად ითვლებოდა.

ამგვარად, დასავლური წყაროების თანახმად, იბერია შემკულია ყველა ღირსებით, როგორც საკაცობოთი – „სიმამაცით“, ისე საღმრთოთი – „ქრისტეს შთაგონებით“. ბიზანტიურ მწერლობაში ასეთივე წარმოდგენები არსებობდა ქართველებზე მოგვიანო ხანაშიც, მე-13-მე-14 საუკუნეების ავტორი, გიორგი პახიმერე, ქართველთა მაღალი ბრძოლისუნარიანობის აღწერის შემდეგ, აცხადებს: „ქართველთა უმრავლესობა მაღალი აღნაგობისაა და აქვთ წმინდა, შეურყვნელი ქრისტიანული სარწმუნოება...“. ჩანს, აქ იგულისხმება ანტიკური კალოკაგათის პრინციპი – მშვენიერ სხეულში, მშვენიერი სული... „სახელოვანი იბერიის“ (ცნობილი ბერძენი ღვთისმეტყველის, პაისიუს ლიგარიდესის სიტყვათ შეთანხმება) ნებაყოფლობითი პროდასავლური და პროქალკედონიტური არჩევანი, დასავლელ ავტორებში აღქმულია, როგორც საპატიო მოწმობა იმპერიის იდეოლოგიური კურსის სისწორისა.

აქვე, მსურს შევეხო ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე ცნობილ ორ წყაროს საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ, ეთიოპურ და კოპტურ სვინაქსარს, რადგანაც მათი დიდმნიშვნელოვანი ცნობები, ჩვენს ისტორიოგრაფიაში სათანადოდ გათვალისწინებული არაა. აღნიშნული წყაროს ჩვენებებს, არქეოლოგიურ მონაცემებთან შეპირისპირებით განვიხილავთ.

ჩვენთვის განსაკუთრებით ყურადსაღები „ეთიოპურ სვინაქსარში“, არის თხრობა საქართველოს ეკლესიის ისტორიის ისეთი ფუძემდებლური მოვლენის შესახებ, როგორიც პირველი ქრისტიანული ტაძრის მშენებლობაა, რომელიც, როგორც გამოირკვა, მჭიდროდაა დაკავშირებული სვეტიცხოვლის მახლობლად მდებარე წარმართულ ტაძართან (ოთხმოცდაათიან წლებში მცხეთაში, არმაზციხესთან, სვეტიცხოვლის მახლობლად, არქეოლოგებმა მიაკვლი-

ეს მეოთხე საუკუნის ბრწყინვალე წარმართულ სატაძრო კომპ-ლექსს). ამასთან დაკავშირებით შესანიშნავი ქართველი არქეოლოგი და მკვლევარი, გურამ ყიფიანი, შემდეგს აცხადებს: „..ეს ექვსაფსიდიანი ტაძარი, რომელზეც ახლა ვლაპარაკობთ, დაუმთავრებელია, გვაქვს კაპიტელი, გვაქვს ბაზისი, მაგრამ არსად ჩანს სვეტი. დავუშვათ, რომ სვეტი ხის იყო და გადაიწვა, მაგრამ ცეცხლის კვალი იქ არ არის და ვერ გადაიწვებოდა. გარდა ამისა, აფსიდებს შორის ხის კონსტრუქციები დადასტურებულია და ის არსად გამქრალა. სად წავიდა რვანახევარი მეტრის სიმაღლის სვეტი? სვეტი სწორედ არ არის და ჩანს ისეთი სიტუაცია, რომ კრამიტის სახურავი ჩაშლილია და იმიტომ არ არის დალეწილი და ყველა კრამიტის ზომის აღდგენა შეგვიძლია, სვეტი შესაძლოა არსებობდა და ვიღაცამ გამოაცალა (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიდეოთეკა, გურამ ყიფიანი, ლექცია 6, ნაწილი _ 2)“. ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო ყურადღება არ ექცევა ეთიოპური სვინაქსრის ცნობებს ქართლის გაქრისტიანების შესახებ, რამაც აღნიშნული წყაროს მიმართ დიდი ინტერესი აღმიძრა. მეტადრე, წყაროს იმ მონაკვეთმა, რომელიც მცხეთაში პირველი ქრისტიანული ეკლესიის მშენებლობას ეხება, ამიტომაც ტექსტის ეს ნაწილი ვთარგმნე.

სანამ ციტატას მოვიტან, უნდა აღინიშნოს, რომ ტექსტები, ზოგადად ეკლესიის ისტორიის შესახებ გაჯერებულია სასწაულებრივი თხრობებით, მაგრამ მკვლევარი, ამისდა მიუხედავად, ვალდებულია, სასწაულებრივი თხრობის შემცველი წყაროები ხელაღებით მაინც არ უარყოს და თუკი შესაძლებელია, მისტიკური გარსის მიღმა ისტორიული სინამდვილე განჭვრიტოს, მაგ., არმაზის „სასწაულებრივი შემუსვრა“ სინამდვილეში სხვა არაფერი უნდა ყოფილიყო, თუ არა მისი ადამიანური ძალით მოსპობა, რაც, სხვათა შორის, ასახული ჩანს ტენდენციურ, მაგრამ შედარებით ადრეულ სომხურ წყაროებში, სადაც არმაზის კერპს მას შემდეგ მუსრავენ, რაც მეფე უკვე ნათელღებულია. ცხადია, კერპების შემუსვრა გაქრისტიანებას მოყვა, მაგრამ მოგვიანო ხანის ქართული ქრისტიანული წყაროები ამ მოვლენას წინაუკმო გადმოგვცემენ, რომ ვითომც კერპთა სასწაულებრივ შემუსვრას მოჰყვა მოქცევა. ყველაფერი ეს სავსებით კანონზომიერია იმ ეპოქისთვის, რომელსაც

განსახილველი ტექსტები განეკუთვნებიან. რაც შეეხება ეთიოპიურ სვინაქსარს, აქ საუბარია იმის შესახებ, რომ პირველი ქრისტიანული ტაძრის აგებისას დასჭირდათ სვეტები, რომელიც არ მოეპოვებოდათ, სამაგიეროდ, ახლოს მდებარე წარმართულ ტაძარს აღმოაჩნდა მშვენიერი სვეტები. წმინდა ნინომ (თეოგნოსტა) ილოცა და სვეტებმა თავიანთი თავი წარმართული ტაძრიდან „მოიხსნეს“ და ქრისტიანულ ეკლესიაში „მივიდნენ“.[5] რა საკვირველია, სვეტები იქვე, მახლობლად მდებარე წარმართული ტაძრიდან სვეტიცხოვლის ასაშენებლად გადაიტანეს, აღნიშნული მოვლენა კი სასწაულებრივად შებურეს, მართლაც, კიდევ უფრო მნიშვნელოვან კოპტურ სვინაქსარში უბრალოდ ნათქვამია: „…ააგეს დიდი ტაძარი და დასჭირდათ სვეტები, იქვე იყო კერპების დიდი სახლი, რომელსაც ჰქონდა სვეტები, ამგვარად მათ აიღეს ისინი, რომ აეშენებინათ ეს ტაძარი“.[6] შთამბეჭდავი აქ ისაა, რომ ეს წყაროები ზუსტად პასუხობენ ოცდამეერთე საუკუნის არქეოლოგის დაჟინებულ კითხვას, თუ რა იქნა სვეტიცხოვლის მახლობლად მდებარე ექვსაფსიდიანი წარმართული ტაძრის სვეტები, როდესაც აქ დარჩენილია სვეტის ძირებიც და თავებიც – ბაზისები და კაპიტელები და შენობაც უკვე გადახურული იყო კრამიტით? ე.ი. იქ სვეტები აუცილებლად უნდა ყოფილიყო. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ექვსაფსიდიან წარმართულ ტაძარში დარჩენილი სვეტების ბაზისებისა და კაპიტელების მორთულობებით – ხვიებითა და კანელურებით თუ ვიმსჯელებთ, ეს სვეტები მეტად მშვენიერნი უნდა ყოფილიყვნენ, ჩანს, სწორედ ამიტომ შენიშნავს ეთიოპიური სვინაქსარი, რომ მახლობლად მდებარე წარმართული ტაძრის სვეტები მშვენიერნი იყვნენ. ყოველივე თქმულის შემდეგ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართლის გაქრისტიანების შესახებ ეთიოპური და კოპტური სვინაქსრების ცნობებსა და არქეოლოგიურ მონაცემებს შორის არსებობს შთამბეჭდავი, ზედმიწევნითი თანხვედრა, რომელსაც მკაფიო სი-

[5] The Saints of The Ethiopian Orthodox Tewahedo Church, Translated by E.A. Wallis Budge, Ethiopian Orthodox Tewahedo Debre Meheret St. Michael Church, 35.

[6] Coptic Synaxarium, St. George Coptic Orthodox Church, Illinois, 1995, 26.

ცხადე შეაქვს საქართველოს ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთ ცენტ-
რალურ საკითხში.

SEVERAL UNKNOWN SOURCES ON THE CHURCH OF IBERIA (GEORGIA)

Beka Chichinadze*

The article discusses several unknown sources of the history of the Georgian Church. These sources belong to different periods. There are few foreign sources about the history of the medieval Georgian church, thus, these materials are important for a new understanding of many problems in the history of our Church. This Sources testify that the Iberian Church has always been actively involved in current events in the world church. The article also discusses the information of the Ethiopian sources about the Christianization of Georgia, this source is already known in Georgian historiography, but we discuss it according to archeological materials, this indicates that the information from this source about the construction of the first Christian church in Georgia is correct.

Keywords: Georgian Church, Iberia, Church History

* Researcher at the Institute for Theology and Philosophy of Sulkhan-Saba Orbeliani University. b.chichinadze@sabauni.edu.ge